





21. ჩამოთვლილი წყვილებიდან რომელია არსებითი სახელები?

ა) რომ, რატომ

ბ) ჭა, წყალი

გ) ფიქრობს, აწუხებს

22. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში:

„ჭრელი პეპელა ტრიალ მინდორში ..... ყვავილებს თავს ევლებოდა.“

ა) ფერად

ბ) ღრმა

გ) დათოვლილ

23. ხალხური საკრავია:

ა) ვიოლინო

ბ) ფანდური

გ) როიალი

24. წელიწადის რომელ დროზეა ლექსში საუბარი?

„ჩახვევია მჭიდროდ ჭიგოს,

მზის გვირგვინი აზის,

აელვარებს ქარვის მტევნებს

მოელვარე ვაზი.“

ა) გაზაფხულზე

ბ) ზაფხულზე

გ) შემოდგომაზე

25. აბა, გამოიცანი!

„მიდის, მოდის, იქავე დგას.“

ა) სკამი

ბ) კარი

გ) ბარი